## სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N369

ქ. ბათუმი 27 სექტემბერი 2017 წ.

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის სულხან ღლონტის სახით და მეორე მხრივ შპს „დრიმლენდ ოაზისი“ (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ გეგუჩაძის („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი:55300000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტუმრებს, კერძოდ, ფრინველებზე დაკვირვების სპეციალისტებს, ფრინველებზე დაკვირვების ტურების ორგანიზატორებს და ტუროპერატორებს სხვადასხვა ქვეყნიდან (სულ 7 პიროვნება) 2017 წლის 27, 28, 29, 30 სექტემბერს უნდა გაუწიოს კვებით მომსახურება, შემდგომში მომსახურება. მომსახურების გაწევა განხორციელდება: ჩაქვი, სასტუმრო „დრიმლენდ ოაზისი“.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 910 (ცხრაასათი) ლარს.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3. დამკვეთი არ არის ვალდებული შეიძინოს 2.1. პუნქტში მითითებული მომსახურება სრული მოცულობით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხირდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2. დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია - გიორგი დოლიძე - დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| **აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი** | **შპს „დრიმლენდ ოაზისი“** |
| მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86 | მისამართი: ჩაქვი, ბათუმის ქ. N16 |
| | საიდენტიფიკაციო კოდი: 205205124 |
| | *„ბანკი ქართუ“* *ბანკის კოდი – CRTUGE22* |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809 | ანგარიში N GE34CR0150009200953602 |
| **დეპარტამენტის თავმჯდომარე** | **დირექტორი** |
| _____ /სულხან ღლონტი/ ბ.ა. | _____ /ნიკოლოზ გეგუჩაძე/ ბ.ა. |